



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 8

„ 19 „ XII 2018 წ.

**დადგენილება № 37**

განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მდივანის ლაურა თარხნიშვილისათვის დამატებითი საქმიანობის განხორციელებისათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მდივანს ლაურა თარხნიშვილს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტის) ფარგლებში განხორციელებული სასწავლო საქმიანობისთვის, სასწავლო პროცესის დასრულებამდე, ყოველთვიურად მიეცეს სახელფასო დანამატი 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.
5. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართვა N1567156, 06.12.2018წ; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი N156977, 06.02.2018 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე